ევროკავშირი საქართველოსთვის

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა

საინფორმაციო ბიულეტენი 52 ნოემბერი / 2024

გამოყენებითი ტექნოლოგიების გაძლიერება მაღალმთიანი აჭარისთვის

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამის ფარგლებში, აჭარის მაღალმთიანეთში თანამედროვე ტიპის წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემები იქმნება. ადრე, წყალარინების სისტემები იქმნებოდა ინდივიდუალურად, კუსტარული წესით.

პროგრამა აჭარაში დეცენტრალიზებულ წყალარინების სისტემებს ნერგავს, რაც ოჯახებს შესაძლებლობას აძლევს ადგილზე ჰქონდეთ ნარჩენი წყლების გამწმენდი სეპტიკები. აღნიშნული უზრუნველყოფს საყოფაცხოვრებო წყლების შეკრებას, გაწმენდას და მის უსაფრთხო ჩადინებას ბუნებაში.

ეს მიდგომა ამცირებს ზიანს გარემოზე და აუმჯობესებს სანიტარიულ-ჰიგიენურ ნორმებს. სეპტიკური სისტემები სახლებს შორის დიდი მანძილის მქონე დასახლებების, ციცაბო რელიეფის და რთულად მისაწვდომი ადგილებისთვის იდეალური გადაწყვეტილებაა წყალარინების სისტემების თვალსაზრისით.

პროგრამის ფარგლებში, სს „აჭარის წყლის ალიანსის“ კონტრაქტორმა დააარსა საკუთარი საწარმო პლასტმასის ინდივიდუალური სეპტიკური ავზების საწარმოებლად.

სეპტიკური ავზების ადგილობრივ წარმოებას არაერთი დადებითი მხარე აქვს. აღნიშნული საშუალებას იძლევა სეპტიკური ავზები დამზადდეს საქართველოს კონკრეტული პირობების გათვალისწინებით, როგორიცაა გრუნტის ტიპი, ან კლიმატი.

პროგრამა უზრუნველყოფს ავზების ხელმისაწვდომობას ბაზარზე, საპროექტო არეალში სახლების აშენების შემთხვევაში. დამატებით, აჭარის 39 სოფელში წყალარინების სეპტიკური ავზების ადაპტაციის წარმატებული პრაქტიკა, გაზრდის სხვა სოფლების დაინტერესებას, პროგრამის და სეპტიკური ავზების მიმართ.

ადგილობრივი წარმოება თავიდან აგვარიდებს იმპორტირების შესაძლო გამოწვევებს და უზრუნველყოფს ავზების ხარისხის ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებთან თავსებადობას. ასევე, იგი ხელს უწყობს და აძლიერებს ტექნოლოგიურ ცოდნას ქვეყნის შიგნით, რაც თავის მხრივ წვლილს შეიტანს საქართველოში მაღალი ხარისხის ავზების წარმოების განვითარებაში.

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა რეგიონში ჩამდინარე წყლების მოდერნიზაციისთვის მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამს. პროგრამა ჩამდინარე წყლების ინოვაციური გადაწყვეტილებებისა და ადგილობრივ წარმოების კომბინაციით, არა მხოლოდ ეხმიანება გარემოსდაცვით და ჯანმრთელობის გამოწვევებს, არამედ ქმნის საფუძველს მდგრადი განვითარებისთვის.

ინფორმაცია პროგრამის შესახებ

გერმანია-საქართველოს შორის ფინანსური თანამშრომლობის ფარგლებში და ევროკავშირის მხარდაჭერით საქართველოსთან, აჭარის მუნიციპალიტეტებში (ქედა, შუახევი, ხულო, ხელვაჩაური, ქობულეთი) თანამედროვე სტანდარტების წყალმომარაგებისა და წყალარინების ინფრასტრუქტურა იქმნება.

პროექტის დასრულების შემდეგ, მუნიციპალიტეტებში მოსახლეობა 24 საათიანი უწყვეტი წყალმომარაგებით და გამართული წყალარინების სისტემებით ისარგებლებს. სამუშაოების განხორციელება ხელს შეუწყობს სოფლებში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, ასევე ტურიზმის სტიმულირებას.

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა, თვისებრივად პირველია საქართველოში რომელიც წყლისა და წყალარინების ინფრასტრუქტურის განვითარების ორგანიზებას ახდენს რეგიონის სოფლებში.

ეს საინფორმაციო ბიულეტენი შექმნილია ევროკავშირის და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია სს “აჭარის წყლის ალიანსი” და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის შეხედულებებს.

Funded by the European Union

AJARA RURAL WATER AND WASTEWATER PROGRAMME

Newsletter 52 **November / 2024**

BOOST TO APPLIED TECHNOLOGIES FOR RURAL AJARA

Within the Ajara Rural Water and Wastewater Treatment Programme, a modern communal water supply and wastewater service is being developed for the highlands of Ajara. Historically simple sanitation solutions were constructed individually, manually and in a rather improvisatory manner.

The Programme introduces decentralized wastewater systems, enabling households to have onsite wastewater treatment units that collect, treat, and safely dispose of domestic wastewater. This approach not only prevents environmental damage but also significantly improves sanitary and hygienic conditions. Septic tank systems are suitable for neighborhoods and rural areas with large distances between houses, steep terrain, or locations that are otherwise difficult to access.

The contractor in the framework of the programme, has established his own factory for manufacturing individual plastic septic tanks.

The local production of septic tanks brings multiple benefits. It allows the customization of tanks to suit specific Georgian conditions, such as varying soil types or climates. The programme, ensuring that septic tanks are readily available on the market, especially for new houses in the programme villages.

Furthermore, the success of septic tanks in 39 villages of Ajara will inspire other communities to adopt similar systems.

Local manufacturing also eliminates delays and challenges associated with importing septic tanks and ensures compliance with necessary national and international standards. It fosters and strengthens technological expertise within the country, contributing to the development of high-quality septic tank production in Georgia.

The Ajara Rural Water and Wastewater Treatment Programme represents milestones toward modernizing sanitation in the region. By combining innovative wastewater solutions with local manufacturing, the programme not only addresses immediate environmental and health challenges but also establishes a foundation for sustainable development.

GENERAL INFORMATION ABOUT THE PROGRAMME

In the frame of the German-Georgian Financial Cooperation and EU support to Georgia, the municipalities of Ajara (Keda, Shuakhevi, Khulo, Khelvachauri, Kobuleti) will benefit from the modern standard water supply and waste water infrastructure.

Upon completion of the project, people in the municipalities will have 24 hour uninterrupted water supply and properly managed waste water system services.
The mentioned Programme will have an essential contribution to the improvement of the level of life, health and the hygiene in general for the citizens of the villages in Ajara as the Programme will keep the environment safe through avoiding contamination and pollution of the environment and water bodies by directly discharged effluent.

The content of the Programme “Rural Water Supply and Wastewater Programme-Ajara” is unique in Georgia with its potential to influence the water supply and wastewater infrastructure development in the villages of the region.

This newsletter has been produced with the assistance of the European Union and KfW Development Bank. Its contents are the sole responsibility of Ajara Water Alliance JSC and do not necessarily reflect the views of the European Union and KfW Development Bank.